

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისას ზიანის  
ანაზღაურების საკითხები

ციცო ღვალაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო სამართლის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

*”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ციცო ღვალაძე

20 მაისი, 2021 წ.

## აბსტრაქტი

ადამიანთა მიმართ ძალადობა დღევანდელი მსოფლიოს წამყვანი პრობლემაა. დღესდღეობით ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი კვლავ მწვავედ დგას ეს საკითხი. ძალადობასთან ბრძოლის ხანგრძლივი ტრადიციების მქონე ქვეყნები დღესაც ხშირად აწყდებიან რიგ სამართლებრივ სირთულეებს და მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი.

ეს ნაშრომი შეეხება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასა და ძალადობის მსხვერპლთა ზიანის ანაზღაურების საკითხებს საქართველოში, რომელიც ყოველთვის აქტუალური იყო და სამწუხაროდ, დღემდე პრობლემური რჩება.

ამ ნაშრომის ძირეული მიზანია გამოიკვლიოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უმთავრესი გამომწვევი მიზეზები, საფუძვლიანად დეფინიცირდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფენომენი, (იქედან გამომდინარე, რომ უმეტესად მსხვერპლი ვერ აღიქვამს, რომ მასზე ხორციელდება ძალადობა) წარმოგვიდგინოს მსხვერპლთა დაცვისათვის განკუთვნილი მთავარი მექანიზმები, შემაკავებელი და დამცავი ორდერების მიერ გამოღებული შედეგები, მსხვერპლთა კანონით დაცული ინტერესებისა და უფლებების ზიანის მიდგომის ალბათობა და ასევე ზიანის ანაზღაურების პერსპექტივები.

ნაშრომში ასევე განხილული იქნება, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი რეგულაციები, ქართული სასამართლო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ნაშრომში არსებული თითოეული საკითხის განხილვისას გამოყენებულია: სისტემური, ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით სამართლებრივი და აღწერითი კვლევის მეთოდები.

ნაშრომში ზემოთ აღნიშნული კვლევის მეთოდების გამოყენების შედეგად, მკაფიოდ წარმოჩინდა საკითხის აქტუალურობა, გამოიკვეთა რიგი პრობლემები

საკანონმდებლო სფეროში და, ყოველივე ამის საფუძველზე, გაიცა რეკომენდაციები, რომლის სრულყოფილად გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მაღალი სტატისტიკის მკვეთრად შემცირება, ხოლო არსებობის შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების არსებული რთული პროცესუალური წესის გამარტივება.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ძალადობა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ზიანის ანაზღაურების საკითხები.

### **Abstract**

Violence against people is the leading problem in the world today. This issue is still acute even today in the most developed countries. Countries with long traditions of combating violence still face a number of legal difficulties, and Georgia is no exception.

This research deals with the issues of violence against women and domestic violence and compensation for victims of violence in Georgia, which has always been relevant and, unfortunately, remains problematic today as well.

The main purpose of this research is to investigate the main causes of violence against women and domestic violence, to thoroughly define the phenomenon of violence against women and domestic violence, (since most victims do not perceive that they are being abused) present the main mechanisms for the protection of victims, the consequences of restraining and protective orders, the likelihood of harm to the interests and rights of victims protected by law, as well as the prospects for compensation.

There will be discussed about international and local regulations in the research, as well as Georgian case law and the European Court of Human Rights' approach to the issue.

Systematic, historical-legal, comparative legal and descriptive research methods are used to discuss each issue in this research.

As a result of using the above research methods in the research, the urgency of the issue became clear, a number of problems in the legislative field were identified. Based on all this, recommendations were issued, which, if fully considered, it could drastically reduce the high rate of violence against women and domestic violence. And in case occurrence it will be possible to simplify the existing complicated procedural rules for compensation for damages.

**Keywords:** Violence, Violence Against Women and Domestic, Compensation Issues.